თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №732530

ნომერი: AR1135575

თარიღი : 31.05.2013

გაცემის თარიღი : 10.06.2013

გაცნობის თარიღი : 10.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩა N14ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი თოხაძე პ/ნ 01009018465
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 8 ბ. 25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე I კლასის შენობა–ნაგებობის განთავსების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ფეიქრების ქ. #14ა (ნაკვეთი 004/015) თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსების ნებართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".
"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები N 01.11.19.004.015; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, საკადასტრო რუკა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი,ფეიქრების ქ. #14ა (ნაკვეთი 004/015) თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობის განხორციელებას.
ამასთან, შენობა–ნაგებობების მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:
– საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს, სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარისა და ფანჯრის ღიობების მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.
– სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.
– საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დაროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge